წელიწადი მე-3

ტელეფონი № 76.

პარასკევი, 27 იანვარი, 1917 წ.

სამშობლო

ფასი 7 კ.

გაზეთის ფასი:
წლიურად 15 მან., ნახევარი წლით 8 მანეთი, თვიურათ 1 მანეთი და 50 კაპეიკი. ცალკე ნუმერი 7 კაპიკი. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 5 მ. მარტის გასულს 5 მ. და 5 მ. 1 ივლ.

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი პეტიტონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 25 კ., უკანასკნელზე 15 კ. სხვა ადგილებიდან კაცაბის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითო ჯერ არა უმეტეს სამ გამოცხადებულისა, ნაშუადღევის 2 საათამდის ღირს 5 მანეთი.
2 საათის შემდეგ 6 მანეთი

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. კნ. ს. ნ. მიქელაძის სახლში.

№ 537

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

№ 537

მიიღება ხელის მოწერა ჩვენს გაზეთზე 1917 წლისათვის

გაზეთის ფასი: ერთი წლით 15 მან.
ნახევარი წლით 8 მან.
ერთის თვით 1 მ. 50 კაპ., **ცალკე ნუმერი** 7 კ.

წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ შემოიტანონ ნაწილნაწილად: პირველათ 5 მან. ხელის მოწერისთანავე. მეორეთ 5 მან. მარტის გასულს და 5 მანეთიც ივნისის გასულს.

რედაქციის კანტორა ღიაა დილის 8 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 8 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 8 საათიდან 11 საათამდე.

რედაქტორი—ი. თ. ცანცაძე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქუჩა, სახლი კნ. ს. მ. მიქელაძისა.

დეპეშისათვის ქუთაისი „სამშობლო“.

გამომცემელი **ამხანაგობა „სამშობლო“.**

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 26 იანვრიდან.

მხეცთა შორის. სანახაობა ფერადებით. **ძველი სახლის სული**
დრამა 5 ნაწილად პროლოგით ცნობილ მსახიობთა მონაწილეობით.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 26 იანვრიდან.

მე 9 და უკანასკნელი სერია

ვამპირები (პარის მპყრობელი). კინო რომანი 4 ნაწ. საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით. **ამერიკელი ბიჭია** სახუმარო ნორდისკის მხატვრული სერიიდან

განცხადება.

ახლად დაარსებული სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საურთიერთო ნდობის საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტი აუწყებს ხსენებულ საზოგადოების ბ. ბ. წევრთ, რომ საზოგადოების წევრთა

საზოგადო კრება

დანიშნულია ამა წლის 29 იანვარს, დილის 10 საათზე შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში. იმ შემთხვევაში თუ ეს კრება არ შესდგა, წესდების მე-35 მუხლის თანახმად მეორე კრება მოხდება მიმდინარე წლის 12 თებერვალს.

განსახილველია: 1, საკითხები საზოგადოების გახსნასთან დაკავშირებული; 2, მიმდინარე 1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვა; 3, მოსამსახურე პირთა არჩევა.

ახალ წევრთა მიღება გრძელდება. 4—2

თუ გსურთ მიიღოთ საუკეთესო ფოტოგრაფიული სურათები, უსათუოდ შედით პირველ ხარისხოვან ფოტოგრაფიაში

„ხელოვნება“-ში

რომელიც გაიხსნა ამა 1917 წ. 1 იანვრიდან ქუთაისში ქარვასლის ქუჩა, ვ. გრიკუროვის სახლში, კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ, მესამე სართულში, შესავალი ვარანცოვისა და ქარვასლის ქუჩ.

ფოტოგრაფია ღებულობს ყოველგვარ საფოტოგრაფიო სამუშაოს:

ფოტოგრავიურები მიუნხენის ფოტოგრაფიის სკოლისებური.

პორტრეტები, ფაიფურზე. გადიდება პორტრეტებისა, რა ზომისაც საჭიროა.

ფასები ძლიერ მცირეა. მოსწავლეებს და სალდათებს დაეთმობათ 20% არსებულ ფასზე დაკვეთილი საქმე სრულდება საჩქაროთ და კეთილსინდისიერად, რაშიც გთხოვთ დარწმუნდეთ. სურათებს იღებს რუსეთის სასახლის ფოტოგრაფიის თანამშრომელი ფოტოგრაფი **ს. ლარიბაშვილი.** თ.

სახალხო წარმოდგენა

ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოების დასი

ქალაქის თეატრი

წარმ. № 41

შაბათი, 28 იანვარი 1917 წ.

ჯიოკომეტი:

ივდითი

ტრ. 5 მოქმ. თარგმ. ი. მაჭავარიანისა.

მონაწილენი: ქ-ნი ბექანიშვილი ს., მდივანი მ., ჩხეიძე ან., ჩხეიძე ნ., ბ-ნი გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ.

რეჟისორი ალ. იმედაშვილი
რეჟისორის თანაშემწე ალ. გუგუშვილი
მორიგე წევრნი გამგეობისა შ. უზნაძე და ა. წერეთელი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე
ადგილების ფასი დაკლებულია

ადმინისტრაცია დრამატიული საზოგადოების გამგეობისა.

ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოების დასი

ქალაქის თეატრი

წარმ. № 42.

კვირა, 29 იანვარი 1917 წ.

ვ. შალიკაშვილი

გადაქრილი მუხა

4 მოქმედებათ.

მონაწილენი: ქ-ნი ბექანიშვილი ს., ლოლუა ა., მდივანი მ., ჩხეიძე ან., ჩხეიძე ნ. ბ-ნი ველოვანი მ., გომელაური ზ., გუგუშვილი ალ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ. ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ., ჩარკვიანი გრ.

რეჟისორი ალ. იმედაშვილი
რეჟისორის თანაშემწე ალ. გუგუშვილი
მორიგე წევრნი გამგეობისა პ. მდივანი და გ. ლადაძე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე
ადგილების ფასი ჩვეულებრივია

ადმინისტრაცია დრამატიული საზოგადოებისა.

ქალაქის თეატრი.

დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღეს, დღეს. პარასკევს, 27 იანვარს ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება გამართავს ქალ. თეატრში

ბ. კოტე ფოცხვერაშვილის

ხელმძღვანელობით და მონაწილეობით

ქართული ეროვნული მუსიკისა და ცეკვა-თამაშის

დიდ საღამოს

შემდეგის პროგრამით: შესავალი სიტყვა, სამუსიკო სურათი, აჭარული სიმღერები, გურული ხორო, თარი, ფანდური, ჩონგური, სტვირი და სხვა. მთელი ერთი განყოფილება შესდგება ქართული ეროვნული ცეკვა-თამაშისაგან. ამ განყოფილებაში სხვათა შორის შესრულებული იქნება საგანგებოდ მოწვეულ პირთაგან: ცალფა ცეკვა, წყვილი, სვანური, ლაზური, ფერხულები და სხვ. მონაწილეობას მიიღებს საგანგებოდ მოწვეული გურული ხორო, მრავალრიცხოვანი ქალ-ვაჟთა გუნდი კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით და სხვანი.

დასასრულ შესრულდება პირველად ქუთაისის სცენაზე დავლურთა და ჰიმონით ძველი ქართული ცეკვა ხ-რუში.

ბილეთები პირველ დღისათვის ათი მანეთიდან ათ შაურამდე და მეორისათვის სამი მანეთიდან ექვს შაურამდე. ამ თავითვე იყიდება ოცხელისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

კომერციულ ცოდნათა კურსები

ც. გ. ფილოვიანისა.

ორივე სქესისთვის

(თბილისში, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976).

თხოვნის მიღება: 4—5 საათ. სალამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვარს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

ექიმები:

დ. ა. ნაზაროვი.

ღებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე.

გუბერლის ქუჩა, საკუთარი სახლი. თ.

ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი, იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.

(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დღით $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.

მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიხანოვის სახ. ტელეფონი № 135.

მ. ი. მოქიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს.

ა. დ. მაჭავარიანი (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულხუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე.

დადიანის ქ. სახლი ჩიჩინაძის (წულეისკირისეული)

ა. მ. ასათიანი ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ოდესის საბებიო კურსებ დამთავრებული

ბებია **ს. ს. ნემსაძისა** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა დარიგებას. მისამართი: ოლდენბურგის ქუჩა, კვალაშვილის სახლი, ფოსტის მახლობლათ.

მასაჟისა და სახის ხამკ. კაბინეტი

მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ვუპრი ყვაველსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახლ გამოგონილ წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 სათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი გ. კოსტავას სახლი № 17. თ

გამოცდილი სტუდენტი ამზადებს

მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი სათუბრო მოწაფეებისა I და II ხარისხის, იყვანს პირობით, მისამართი: თფილისის ქ. № 35, მიქელაძის სახლში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლოს“ რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თელ. ტელეფონი № 183 თ.

ს-მ. ბ. მიწის მზომელი

ვ. ს. ასათიანი. ადგენს მამულების პლანებს აწვდის მიწის შეძენის მსურველებს უტყუარ ცნობებს ქართლ-კახეთ აფხაზეთის ნაყოფიერ და იაფ ადგილ-მამულთა შესახებ. მემამულეთა დავალებით ტიხრავს მამულებს ნაწილნაწილად გასაყიდათ. მისამართი: ქუთაისში, „ჩვ. მ.“ და „სამ.“ რედაქცია; ან პროვიზორ კახიანის აფთიაქის მაღაზია, ქალ. თეატრის პირდაპირ, ჭიათურაში კი შავი ქვის მრეწველ ალ. ხაბულიანთან. თ.

უკვდავი სული!

სხვა სახელი ვერ გამოვგინახავს მრავალ ტანჯულ ქართველი ერის დასახასიათებლად!

რამდენი ტანჯვა, რამდენი უბედურება გადახედია თავს ქართველობას, რამდენი სისხლი უღვრია ამ ერთ მუჭა ხალხს, რამდენი შავი დღე დაულამებია და ბნელი ღამე გაუთენებია, მაგრამ დღესაც მტკიცედ სდგას, ვით სალი კლდე იალბუზისა, ვით ფრიალონი მყინვარისა და იმედიცა გვაქვს, რომ სწორედ ეს გაუტეხელობა იხსნის საქართველოს და ერთხელაც იქნება შესწყდება ქვითინი იმ ოცნებისა, რომელიც თავს დასტრიალებს კავკასიონის ბებერ ქედებს!

დღეს ჩვენს გაზეთში ამოიკითხავთ ფრიად საყურადღებო წერილს **„ქრისტიანი ქართველები ოსმალეთში“.**

საიდან გადასახლებულან ეს ქართველები, ან როდის, არავინ იცის.

არ ვიცოდით თვით მათი არსებობის ამბავიც. მაგრამ უკვდავ ქართველ სულს შეუნახავს იგინი და შეუნახავს ისე წმინდად, ისე ხელუხლებლივ, რომ კაცი განცვიფრებაში მოდის!

რა სოფელი, 12 ათასი ქართველი კაცი უზარმაზარ სამაჰმადიანო ქვეყანაში!

ეს ხომ წვეთია ოკეანეში, ეს ხომ მუმლია მუხასთან შედარებით, მაგრამ ნახეთ, როგორ შეურჩენია თავისი მეობა ამ წვეთს, როგორ დაუცავს თავისი არსებობა ამ მუმლს?!...

განა ასეთი სულის კვეთების მთელი ხალხი, მთელი ერი, მთელი საქართველო დღეს სხვის ხელის შემყურებელნი უნდა ვიყოთ?

რატომ ჩვენ კი არ შევვერთდებით და შეერთებულის ძალით რატომ არ გვინდა გავუმკლავდეთ მცონარობას, უილაჯობას, უკეთურებას?

რატომ არ გვინდა ხელი-ხელ ჩაკიდებულებმა ერთხმად შევძახოთ ხოლმე საქართველოს მტრებს.

— ხელები იქით! ჩვენ სიკვდილზე ჯერ გაგვებას არ უფიქრია!

რატომ... რატომ მეტი ერთობა არ არსებობს ჩვენში, ჩვენს სახლში, ჩვენ კერაზე, სადაც დაუფლებია უკვდავ სულს საქართველოისას?!

ი. ცანი.

ქრისტიანი ქართველები ოსმალეთში.

გასულ წელს დაბანაკებული ვიყავით მელიაზგერთში. დილით ადრე ავიწიე, გამოველ კარავიდან და ვნახე, რომ ჯარის კაცები ვიღაც დაკონკილ კაცს შემოხვევიან გარს. მოიყვანეთ აქ, ვინ არის მეთქი, დაუძახე. მანაც მოაშურა ჩემსკენ. ჩემს წინ მოკძალებით დადგა ჯოხზე დაყრდნობილი ფეხშიშველი ადამიანი. ძლივს იდგა. სახე საშინლად დაღვრემილი, დანაოჭებული, ფერ-მიხდილი, თვალები ჩაცვივნული, მაგრამ ჭკვიანური გამომეტყველების ქონდა. თავზე რაღაც ძონძი ეხვია; შავი წვერ-ულვაში აბურძგნული ქონდა. ტანს უფარავდა სხვა და სხვა ფერის ძონძები. გაღეღილ მკერდზე ეკიდა კარგა მოზრდილი სადავის ჯვარი. ვკითხე: „ჰაეს“? (სომეხი ხარ) „ჩე“ო, მიპასუხა. მე აისორი ვარო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოთ, ამ რაიონში აისორები არ გვხვდებოდენ და ძლიერ გამიკვირდა. თათრული თუ იცი მეთქი, ვკითხე. ვიცი, მიპასუხა. დაუძახე თათრულის მცოდნე ჯარისკაცს და გამოვკითხე ამბავი. მერე მზარეულს ვუბრძანე ლაინაყრებინა. ცოტა ხნის შემდეგ თათრულათ მოლაპარაკე ჯარის კაცი მომადგა კარავში და მითხრა: Этотъ аисоръ говоритъ, что онъ умѣетъ по грузинский говорить. ახლავე მოიყვანე ქამა — თუ ვინაა — მეთქი გამოვედით მე და ჩვენი ექიმი გიორგი ნიჟარაძე და ვკითხე: მართლა იცი ქართული? ვიცი მიპასუხა. სად ისწავლე? ალბათ საქართველოში ყოფილხარ მეთქი?

—არა, საქართველო სად არის არ ვიცი. ჩვენ გურჯებთან ვცხოვრობთ და ყველამ ვიცით ქართულიო.

ამის გაგონებაზე გული საშინლათ ამიძგერდა. გიორგი და მე, განცვიფრებული ერთმანეთს შევაცქეროდით... აღტაცებული მეკითხები: მითხარი თუ ძმა ხარ, გურჯებია, ან სად, რა ადგილას ცხოვრობენ. შევარდი კარავში, გამოვარბენინე სუმთი, სამხედრო მაგიდა, რუქა და ვკითხე: იმ ქვეყანაში, საიდანაც შენა ხარ, ყველაზე ახლოს რომელი ქალაქია მეთქი. —ახლოს ქალაქი არ არი.—მაინც რა ქალაქის სახელი იცი, თქვენსკენ მეთქი. —დიარბექირი ვიცი, მოსული ვიცით. სასწრაფოდ ვნახე დიარბექირის და მოსული რაიონების რუქა. და დავუწყე გამოკითხვა, თუ რა გზებით იარა, ან რა მდინარეები ჩამოდიან იმ ადგილებზე, სადაც გურჯები და თქვენ ცხოვრობთ მეთქი. აღმოჩნდა, რომ ის ადგილი, სადაც ქართველები სცხოვრობდენ დიარბექირიდან სამხრეთ—დასავლეთით ყოფილა 140 ვერსით დაშორებული. ქართველები შეადგენენ 8 სოფელს, მოსაუბრის აზრით 12 ათასი სული მაინც იქნებაო. ამ ქართველებს, როგორც მოსაუბრის ლაპარაკიდან სჩანს, შერჩენიათ წმინდა ქართველი ენა. ეს არაფერი, საკვირველება ისაა, რომ შერჩენიათ მართმადიდებელი სარწმუნოება. ჰქონიათ თავისი ეკლესიები. მათ შორის ერთი დიდი, თლილი ქვისგან აშენებული ტაძარი სადაც იმყოფება უფროსი მღვდელი და ღვთის მსახურება გურჯულ ენაზე სწარმოებსო. ჩვენ აისორები ბევრი არა ვართ იქ; სულ ორი პატარა სოფელი გვაქვს და სალოცავათ ქართველის ეკლესიაში დავდივართო. ქართველების მღვდლები გვნათლავენ და გვმარხავენო. გამოვკითხე სოფლების სახელები; ჩამომითვალა: 1) წუკატი. 2) ნაზრახული. 3) თუთია. 4) სარჯიკი, 5) ბაზართა 6) ბერეკეთი 7) ასურბათი და 8) გორჯი. დიდი ეკლესია ყოფილა სოფ. გორჯში. თათრები პირველათ კარგათ იყვნენ ჩვენთანო. არც ჩვენ და არც გურჯებს არ გვერჩოდნენო. ამ ორი თვის წინ მოიტნეს ამბავი, რომ აისორები ხოცავენ თათრებსო და მაშინ დაგვიწყეს ჩვენც ძლევა. ჩემი ძმა, ცოლი, ერთი ქალი და ერთი ვაჟი მოკლესო. აისორები სულ უნდა გავჟლიტოთ. ვისაც შეეძლო გაქცევა, მთებში გავიქეცით ერთი აისორი სტამბოლში ნამყოფი იყო და ის გვიძღოდა წინ; ჩვენ გზა არ ვიცოდითო. გზაში ბევრი დაიხოცა. თათრების სოფლებს შორიდან უვლიდით, გვეშინოდა. ჩვენი ნასწავლი აისორიც გზაში მოკვდა; იმან გვითხრა ასე გვევლო. (ხელით მიჩვენებდა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ.) ახლა რუსები ახლოს არიანო. ორი დღეა მოვაწიეთ თქვენს ჯარამდე. ღმერთმა ადღეგრძელოს: საღდათები პურს გვაჭმევენ და მოვსულიერდით.

გამოვკითხე, თუ რას ამუშავებენ ქართველები, ან როგორი სახლ-კარი აქვსთ მეთქი. ბაღებს ამუშავებენ, პურს სთესვენო. სახლები უმრავლესობას ქვისა ჰქონიათ და რამოდენიმეს ოყალთო მიწიდან გაკეთებული. თუთუნი ბლომათ მოჰყავთ. სოფლები გაშენებული ყოფილა მთის ძირში. წყალი კარგიაო. მოხუცებულები ბევრიაო. სჩანს ჰაერი საღი უნდა იყოს. აისორებს რომ ძლევა დაგვიწყეს, გურჯებმა ბევრი ქალი და ბავშვი გადაარჩინეს.

ეს აისორი აღარ გაგვიშვია; მინდოდა თან წამეყვანა, მაგრამ 11 ივლისს მტერი უეცრივ დაეცა ჩვენს სამყოფ ადგილს მელიზგერთს. ღილითვე ზარბაზნები დაუშინა დაბანაკებულ ჯარს. მე და ექიმი ნიჟარაძე. სანამ უფროსისგან განკარგულებას მივიღებდით და მოვემზადებოდით, ხალხი აირ-დაირია. ამ არეულობის დროს ჩვენი ძვირფასი სტუმარი უთუოთ შეშინებული სადღაც გაჰქრა. ბევრი ვეძებეთ, მარა ვეღარაფერს გავხდით.

საჭიროა ქართველმა ჯარის კაცებმა მხედველობაში იქონიონ ზემო აწერილი ამბავი. ვინ იცის ბრძოლის პირმა იქნებ მიაღწიოს აღნიშნულ ადგილებამდე. ნუ დაივიწყებენ, რომ იქ ჩვენი ძმები ცხოვრობენ. ამის უფრო დაწვრილებით გაგება და ძმების ნახვა, მთელი ყოველი ჩვენგანის მოვალეობაა.

ილიკო ფალიანი.

მსოფლიო ომი.

უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

დასავლეთის ასპარეზი

24 იანვარი. მდ. ბერეზინაზე მოწინააღმდეგემ ჩვენ ჯარზე არტილერიის ტყვის დაშენის შემდეგ ბერეზინის რაიონში იერიშით ეკვეთა ჩვენ თხრილებს და ხელთ იგდო პატარა კუნძული მდინარეზე მაგრამ ჩვენმა რაზმმა კონტრ იერიშით მალე უკუ აგდო.

რუმინეთის ასპარეზი.

ჩვენმა მოწინავე ნაწილებმა განდევნა მოწინააღმდეგე თხრილებიდან მდინარის სამხრეთით რაიონში.

კავკასიის ასპარეზი.

ცვლილება არ მომხდარა.

პეკინი. 24 იანვარი. ამერიკის ელჩმა ჩინეთის მთავრობას წინადადება მისცა მიბაძოს ამერიკის მაგალითს დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტაში გერმანიასთან და მხარი დაუჭიროს გემებთა თავისუფლათ მსვლელობას ზღვაში.

მესოპოტამია. 24 იანვარი. ჩვენი ჯარის მიერ შეტევის გამო მტერმა გასწმინდა მთელი რაიონი მდ. ტიგრის მარჯვენა ნაპირას.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. რიგის მიდამოებში, ს. კალნცემის ჩრდილო-აღმოსავლეთით წყებად და წყებათ დრაზმული მოპირდაპირე იერიშით წამოვიდაა, მაგრამ თავის თხრილებშივე მივაბრუნეთ. ფრიდრიხშტატის ჩრდილო-დასავლეთით, ლინდენის მიდამოებში, გერმანელებმა თავი მოიყარეს და იერიშით წამოვიდნენ, მაგრამ სროლით გავფანტეთ. გერმანელების საფრენს სროლა აუტეხეთ, იგი მტრის მხარეს პოსტავის ჩრდილო-დასავლეთით დაეშო.

რუმინეთის ასპარეზზე. სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

კავკასის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

საფრანგეთი.

24 იანვარი.

პარიზი. დეპუტატთა პალატამ 398 ხმით 85-ის წინააღმდეგ მიიღო კანონპროექტი, რომლის ძალითაც სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლებულთ ხელ ახლათ შეამოწმებენ.

24 იანვარი

პარიზი. საღამოს ოფიც. ცნობა. მულენ-სუ-ტუვანის მიდამოებში ერთბაშად თავს დავესხით მტრის სანგრს და ხელთ ვიგდეთ ათიოდე ტყვე. მტერმა ვერ მოახერხა ორმოს დაჭერა, რადგანაც სროლა აუტეხეთ. „304“ მაღლობის მიდამოში მტრის სიმაგრეებს ზარბაზნებს ვუშენდით.

ზღვაზე

ჰაგა. ჰოლანდიის გემი „გამმა“ დაპლუპეს. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

ლონდონი. ამერიკის გემი „ჰუსატანკ“-ი დალუპეს.

ლონდონი. ფილადელფიიდან იტყობინებიან: გერმანეთის დამხმარე კრეისერები „კრონპრინც-ვილჰელმი“ და „პრინც-იტელ-ფრიდრიხი“ გემთა სააშენებლო ეარხანაში დაატყვევეს. მეზღვაურები ცალკე ყაზარმაში მოათავსეს.

უმაღლესი ბრძანება უმართებულეს სენატს.

ვადა ჯარში გასაწვევ ახალ-გაზდებისა, რომლებიც დაბადებულნი არიან 1898 წ. და ვალდებულნი არიან გამოცხადდენ სამხედრო ბეგრის მოსახდელად 1916 წ. 24 დეკემბრის, თანახმად ჩვენის ბრძანებისა უმართებულესი სენატისადმი ბრძანებთ განაწესრიგოს შემდეგ რიგით: გამოცხადების პირველ დღეთ დანიშნულია 3 თებერვალი 1917 წლისა იმპერიის ყველა ადგილებში გარდა ამ ბრძანების 2 და 3 პუნქტებში დასახელებულისა; მეორე მოწვევა ხდება 1 ივლისიდან 1917 წ. ლეჩხუმის მაზრის (ქუთ. გუბ.) [illegible] სვანეთში და თიონეთის მაზრის (ტფ. გუბ.) ხევსურეთის, არდოტის, ახიაურსკის, შიტლევსკის, ბრისახოსკის, ბალდისკის, გულსკის, გოშსკის, ეფშავეთის, ჭაიხოვსკის მარგარგოსხარსკის, თუშინსკის, ილურტსკის, ჯავრობსელსკის, პერემსკის, დარტლისკის, ხმალთუშის, ნაცისხვარის, პომეცარის, ჩანგმისკის, ირიტიალსკის, იაკუტის ოლქის და აგრეთვე ქ. ილიმსკში, კერენსკის მაზრის (ირკუტსკის გუბ.) მოწვევის დასაწყისი ვადა ეძლევა არა უგვიანეს 1917 წ. 1 ივლისისა. შინაგან საქმეთა მინისტრს სამხედრო მინისტრთან შეთანხმებით იმ ადგილებში სადაც ჰავის გამო მოწვევა შესაძლებელი არ იქნება. უმართებულესი სენატის მიერ ესე სისრულეში მოყვანილი იქნება, რაზედაც ხელს აწერს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა

ნიკოლოზი.

ცარსკოე სელო 21 იანვარი 1917 წ.

ვილსონის სიტყვა

(პეტ. ტელ. სააგ.)

ვაშინგტონი. კონგრესის დარბაზში ვილსონმა ისტორიული სიტყვა წარმოსთქვა, რომელსაც ლტაცებით მიეგებნენ და ბევრჯელ ტაშით აწყვეტინებდნენ სიტყვას, ვილსონმა განაცხადა: საფოსტო გემის „სუსეკ“-ის დაღუპვის გამო ამერიკამ გერმანეთს ნოტა გაუგზავნა. გერმანეთმა 21 აპრილს გვიპასუხა, რაზედაც 25 აპრილს პასუხი გავეცით. გერმანეთმა ამ ნოტაზე პასუხი აღარ გვაცა. შემდეგ ვილსონმა მოიყვანა 18 იანვარის გერმანეთის მემორანდუმის შემდეგი სიტყვები: „რადგანაც გერმანეთის ცნობა აბათილებს, გერმანეთის მიერ 21 აპრილს მოცემულ პირობას, შტატების მთავრობას მეტი აღარა დარჩენია რა, რომ შტატების მოვალეობისა და სახელის გულისათვის, იმ ზომას მიმართოს, რაც 23 მარტის ნოტაში აღნიშნა, ვიდრე გერმანეთი ხელს არ აიღებს თავისს არჩეულ მეომარ გეგმაზე, ამისათვის ლანსინგს წინადადება მიეც ბერნსტორფს აცნობოს, რომ გერმანეთთან სადიპლომატო დამოკიდებულება შეწყვეტილია და ბერლინში მყოფ ამერიკის ლესპანს დაუყონებლივ დაებარებინა; ამისათვის ბერნსტორფს პასპორტები ჩააბარეთ. ამისდა მიუხედავად ვერ დავიჯერებ, რომ გერმანელებს სურვილი არა ჰქონდეთ ანგარიში გაუწიონ ჩვენი ხალხის დიდიხნის მეგობრობას, ან მართლა დაარღვიონ მოცემული პირობა და ამერიკელი გემები ღუპონ, ამერიკელთა სიცოცხლე ანადგურონ განზრახ წარმოებულ წყალქვეშა ბრძოლით. თუ ჩემი ულრმესი რწმენა მათს ზომიერ და ფრთხილ შორსმჭვრეტელობაში, სამწუხაროდ, უსაფუძვლო გამოდგება, თუ ამერიკის გემები საერთაშორისო უფლებათა უმიზეზოდ გადალახვის მსხვერპლი გახდება, მაშინ კონგრესს ვსთხოვ რწმუნებულებას, რათა ჩვენი მეზღვაურებისა და ერის თავის დასაცველი ზომები მიეიღო. მე ამაზე მეტს ვერას გავარიგებ და დარწმუნებული ვარ ნეიტრალი სახელმწიფოებიც ამავე გზას დაადგებიან. ჩვენ არა გვსურს გერმანეთის მთავრობასთან სამტრო განხეთქილება მოგვიხდეს, ჩვენ გულ-წრფელი მეგობრები ვართ გერმანეთის ერისა და გულწრფელად გვინდა მეგობრული კავშირი ვიქონიოთ მის მთავრობასთანაც, რომელიც თავისი ერის სახელით ლაპარაკობს; არ დავიჯერებთ, რომ ისინი მტრულად გვეცქეროდნენ ჩვენ, სანამ თვითონ ამის საბუთს არ მოგვცემენ. მხედველობაში გვაქვს ჩვენი ერის უტყუარ უფლებათა გონივრული სარჩლი, ჩვენ ეგოისტური მიზნები არ გაგვაჩნია, ვცდილობთ მხოლოდ შევინარჩუნოთ ჩვენი ერის კანონიერი პრინციპები, ჩვენი უფლებისა, თავისუფლებისა, სამართლიანობისა და მშვიდობიან ცხოვრებისა. ეს დებულებანი საფუძვლად უძევს მშვიდობიანობას და არა ომს.. ღმერთმა ნუ ქნას, რომ იძულებული გავხდეთ გერმანეთის წინასწარ განზრახულ უსამართლობას ძალა-უნებური მოქმედება დავუპირდაპიროთ.

ახალი ამბავი.

✦ **25 იანვარს** ქუთაისის საკრებულოში დანიშნულ წლიურ მორიგ კრებაზე, მიმდინარე წლისთვის მამასახლისებათ არჩეულ იქმნენ შემდეგი პირნი: დავით კვირკველია. გრ. ბარათაშვილი, ალ. მიქელაძე, ა. მეფისოვი, ალ. ასათიანი, სტ. აკოპოვი, ს. ხეჩინოვი და მ. ჭავჭანიძე. სარევიზიო კომისიაში აირჩიეს ბ. ბ. ბატალინი, ს. კილაძე და ი. თაყაიშვილი.

✦ **რედაქციამ** მიიღო სალიტერატურო, ორ-კვირული ჟურნალ „ცხოვრების“ მორიგი (2) ნუმერი. ჟურნალი შინაარსიანად და ლამაზათ არის გამოცემული.

✦ **23 იანვარს** ვილაც კაკიტელაშვილს შაქრის მიღების დროს აღმოაჩნდა ყალბი შაქრის ბარათი. ბარათში სამი სულის მაგივრათ 13 სული ეწერა. ხსენებულ პირს ბარათი ჩამოართვეს და ოქმი შეუდგინეს.

✦ **ლანჩხუთის** განყოფილების გამგეობას ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებისას ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო სოფ. ზემო-ჩიბათში (ოზურგეთის მაზრა) გახსნან უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველო.

✦ **სოფ. მიქელ-გაბრიელის** მცხოვრებნი მ. ბოლქვაძე, ი. ბოლქვაძე და ფ. ხომერიკი შუამდგომლობენ ქუთ. გუბერნატორის წინაშე რათა მათ ნება დართონ გახსნან მომ. საზ. „მიქელ-გაბრიელი“

✦ **სოფ. ნაქალაქევში** (სენაკის მაზრა) ორი ბოროტ-განმზრახველი თავს ცასხმია ბათლომე გვაჯას და წაურთმევია 90 მან. გამარცულს უცვნია ერთი თავდამსხმელი რომელიც დაუჭერიათ. იგი დეზერტირი არტემ ბატურია აღმოჩნდა.

✦ **მთავრობის** აგრონომი ვასილევსკი მიწათმოქმედების მინისტრის ბძანებით დანიშნულია იმერეთის ეპარქიალურ საბჭოს წევრად.

✦ **ქუთაისის** ხარჯის ამკრებ ინსპექტორად დაინიშნა ს. ვ. ვინოგრადოვი, რომელიც 23 იანვარიდან შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას.

✦ **ქუთაისის** სადგურზე 23 იანვარს ღამით ჟანდარმთა ვახმისტრმა დაიჭირა სამი პარტია შაქარი; რომელიც იგზავნებოდა სხვა და სხვა ადგილს, შაქრის გამგზავნელი აღმოჩნდნენ ებრაელნი შაბათა მომწყებლიშვილი, დანიელ თაროზიშვილი და ისრაილ მომწყებლიშვილი.

ქრონიკა.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

— **თბილისი.** მეფის ნაცვლის საბჭოს წევრი ბ-ნი ლიზოგუბი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ამიერ კავკასიის სერობო რეფორმების პროექტის შედგენა, პეტროგრადს მიემგზავრება და იქ დაესწრება აღნიშნულ პროექტის განხილვას მინისტრთა საბჭოში.

— განზრახულია ფასების მომატება რკინის გზაზე. ფასები უნდა მოუმატონ, როგორც სახალხო, ისე საბარგო მატარებლებს.

— **თელავი.** სავაჟო პროგიმნაზიაში 15 იანვარს შესდგა მშობელთა კომიტეტის კრება, ამავე სასწავლებლის დირექტორის თავმჯდომარეობით. კრებამ იქონია მსჯელობა იმაზედ, რომ მეტი ყურადღება მიექცეს მოწაფეთა ყოფაქცევას სასწავლებლის გარედ. ქართული ენა სასწავლებელში იქმნას აღიარებული სავალდებულოდ ან ქართული ენის მასწავლებელი გათანასწორებულ იყოს სამსახურის მხრივ სხვა მასწავლებლებთან.

— **ბაქო.** გაზაფხულის სეზონისთვის ბაქოს დრამატიულმა საზოგადოებამ რეჟისორად მიიწვია ალ. წუწუნავა. აქაურ დრამატიულ წრეს თებერვლის შუა რიცხვებში უთავდება სეზონი. თვის ბოლოს დანიშნულია თავადის ასულის ანდრონიკაშვილის ბენეფისი. ამავე დღეებში გამართავს ბ-ნი წუწუნავაც თავის ბენეფისს.

— **ხობი.** სპირიდონ ჯორჯიკია და ნაფიცი ვექილის თანაშემწე ლ. შარლაია შუამდგომლობენ დაარსდეს ხობში სასოფლო სამეურნეო საზოგადოება „კეთილი საქმე“

— **ბათუმი.** ცნობილი საზოგადო მოღვაწის ქართველ მაჰმადიანს ჰაიდარბეგ აბაშიძეს ბათუმში ცხოვრება აუკრძალეს.

— ბათუმის ქართველობას სხვადასხვა ელფერი ადევს. ავიღოთ თუგინდ ნინოობა, აქ ამ ეროვნულ დღესასწაული რაღაც გამოფენად არის გადაქცეული. ვითომც ამ დღეს ქართველობამ სურს გააცნოს უცხო ხალხი ქართულ კულტურასთან, მის ავლა დიდებასთან. თვითონ კი თავის ქართველობა ვერ მოუხერხებია. იშვიათად შეხვდებით მათში ქართულ მოლაპარაკეს საქმის დროს. მაგრამ ნინოობის დღესასწაულისთვის კომისიებს ნიშნავენ რომ შეხვდეთ ამგვარ კომისიებში, სწორედ გაგიკვირდებათ, ქართულად ხმას ვერ გაიგონებთ და თუ ვინმემ რამე თქვა, უეჭველად ნახევრად რუსულში არეული.

— **ქიათურა.** სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ გადაწყვიტა მოიწვიონ ლექტორები ლექციების წასაკითხად. კოოპერატივ „ჩვენი ოჯახის“ გამგეობამ მაღაზიაში მომუშავეთ ჯამაგირები მოუმატა.

— **ზუგდიდი.** სამი ყაჩაღი შეიპყრეს ი. კიტიას მეთაურობით, რომელსაც ყაჩაღ პილია გვასალიასთან ერთად მრავალი მკვლელობა და ძარცვა ბრალდებოდათ.

— **ზესტაფონი.** ერთ თვეზე მეტია რაც პურის ფქვილი და სიმინდი არ შემოსულა. მთელი დაბა და ახლო მახლო სოფლები დიდ გასაჭირშია. ამის გამო შიმშილობაა, ამ ბოლო დროს ერთმა ებრაელმა 150 ტომარა „რაზმოლის“ ფქვილი მოიტანა. ფუთს 6 მანეთად აფასებდა. მეპურეები სთხოვენ ბოქაულს ნიხრის მომატებას, მაგრამ უარი მიიღეს.

— **ბაქო.** წელს პირველათ გაიმართა აქ ნინოობა. დიდძალი ხალხი დაესწრო და დიდძალი ფული შემოვიდა. საღამო მეტად შინაარსიანი გამოდგა. დიასახლისათ იყო კნეინა თამარ გიორგის ასული დადიანისა.

შემოსავალმა იმავე საღამოს 18 ათას მანეთს გადააჭარბა, მოსალოდნელია კიდევ 2 ათასი მანეთი შემოწირულების სახით. სულ 20000 მან. იქნება. აკაკი ხოშტარიამ და ჰაჯი ზეინალ ტაგიევმა თითომ 500 მან. შემოსწირა ბევრმა ას-ასი მანეთი შემოსწირა. ვახშამი მთლად შეძლებულმა ქართველებმა გასწყვეს.

წმინდა მოგება დარჩება 17 ათასი მან.

პროვინციის ცხოვრება.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

ლანჩხუთი. აქ წ. კ. გ. ს. განყოფილებამ საკვირაო შკოლა გახსნა. მეცადინეობა უკვე დაიწყეს. ასწავლიან წერა-კითხვას, იმართება საუბრები მდაბიო ახსნით; ასწავლიან ანგარიშს, გეოგრაფიას, ისტორიას. სამწუხაროდ აქაური ნოქრების გულგრილობაში დანაშაული ხაზეინებს მიუძღვით, რადგან ეს უკანასკნელნი ნებას არ აძლევენ ნოქრებს და სხვა მსახურთ სკოლაში იარონ. მეცადინეობა კვირა-უქმე დღეს საათის 4 იწყება, როდესაც დუქნები დაკეტილია და არავითარი მოძრაობა არ არის.

— **სოფ. ქორეთი.** ღამე არ გაივლის, რომ საწყალ გლეხს არ გაუტეხონ ან ბეღელი, ან სახლი და რამე არ მოპარონ. ღვინის და პირუტყვის მოპარვას ანგარიში არა აქვს. გაცარცული გლეხები დარბიან კანცელარიებში, მაგრამ ყოველივე ზომები უქმად რჩება, საჭიროა, რომ ოლქის-თავებმა ზომები მიიღოს. დროა შეიკრიბონ და სოფლის პირ-ვარამს ყურადღება მიაქციონ. პირველ ყოვლისა თავისი ძალა ქურდების წინააღმდეგ უნდა აამოძრაონ.

— **საჭამია-ხერი** (გურია) მომხმარებელი საზოგადოება „ჩვენი იმედი“ თანდათან მკვიდრ ნიადაგზე დგება. მან ადგილობრივი გლეხობის სიმპატია დაიმსახურა და მათი ყურადღება სავსებით მიიპყრო. გლეხებმა ფართოდ დააყენეს მომხმარებელი საზოგადოების კითხვა თავიანთ შორის და თითქმის სავსებით შეითვისეს კოოპერატიული მოძღვრება. მომხმარებელი საზოგადოებაც ენერგიული ხელმძღვანელების წყალობით სავსებით ასრულებს თავის დანიშნულებას. მომხმარებელის ინტერესები დაცულია და საზოგადოება კმაყოფილია.

ჭიათურა. ამ ერთი კვირის წინად ბ. ბუაჩიძეს შაქარი მოუვიდა, რომელიც კოოპერატივისთვის უნდა გადაეცა. სამწუხაროდ ბ-ნმა ბუაჩიძემ კოოპერატივს მარტო ნახევარი საქონელი გადასცა. კოოპერატივმა, როგორც ამბობენ, ამასაც ვერ მოუარა და ისეთებზე დაარიგა ორ-ორი, სამ-სამი ტომარი, რომ მათ შემდეგ ყიდვისა - თვით დაიწყეს მუშტრების ძებნა. 12 მანეთიან ფუთ შაქარს 50 მანეთად აფასებდენ. შემდეგ კოოპერატივს სიმინდი მოუვიდა, მაგრამ ისიც უწესრიგოდ დარიგდა. აღსანიშნავია, რომ ერთ მრეწველს ასი ფუთი სიმინდი მისცეს იმ დროს, როდესაც სიმინდი ილეოდა და წევრებს თითო ფუთიც აღარ ერგო.

—**ცხინვალი.** „უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწიაო“ ასე მოუვიდა ბევრ ნაჭირნახულევ უბედურ გლეხკაცს. არ აკმარა ღმერთმა უმაგალითო ომით გამოწვეული უბედურება; ობრად დარჩენილ ოჯახს, ქვრივ-ობოლს, მასაზრდოებელი პირუტყვიც ხელიდან გამოეცალა. უმაგალითო იყო წრევანდელი საქონლის ჭირი, თუ სხვა დროს თავსხარს სცემდა ეს ჭირი ოჯახს, ახლა ხომ უფრო სასოწარკვეთილებაში ჩააგდო.

—**სამეგრელო.** საშინელი და აუტანელია დღეს სამეგრელოს მდგომარეობა. კალმით აუწერელია ის ტანჯვა, ის ვაება. რასაც განიცდის ხალხი. ყაჩაღთა ალაგმვას არ-რა ეშველა უპატრონოთ დარჩენილი მოხუცებულები საშინელ სასოწარკვეთილებაშია რა ქნან, ვის შესჩივლონ თავიანთი გაჭირვება ადმინისტრაციამ „სტრაჟნიკებით“ გაავსო მთელი სამეგრელო. მაგრამ ძარცვა-მკვლელობა არ შემცირებულა და პირიქით უფრო ვითარდება.

რედაქტორი ა. თ. ცანცაძე.

გამომცემელი ამხან. „სამშობლო“

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქ., სახლი გოკიელოვისა